









# თსსუ-ს ახალი კლინიკური ბაზა შეიქმნა



ჩემთვის, როგორც ჟურნალისტიკისთვის, საქართველოს მოქალაქისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ რაც არ უნდა მცირე დროის შუალედით ვეწვიო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ მადანაძეს, მას ყოველთვის აქვს განსაკუთრებული სათქმელი, სიახლე, რომელიც, არა მარტო თსსუ-ის მასშტაბით არის საგულბისხმო და სარგებლობის მომტანი, არამედ მთელი ქვეყნისთვისაც. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მართლაც, ყოველდღიურად ვითარდება, ამ რთულ პროცესში კი, რომელიც პანდემიის მძვინვარებამ გამოიწვია, არ ყოფილა არც ერთი დღე, რომელიც აღმშენებლობით, სამედიცინო და პრაქტიკულ საქმიანობაში წინსვლით არ აღიბეჭდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

თუმცა, დროის გამოწვევა ძალიან მნიშვნელოვანია და მუდმივად არაერთი სერიოზული სირთულის დაძლევა გულისხმობს. სწორედ ამ სირთულეთა დაძლევის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ ბაზათა ქსელის გაფართოების გამო, ბატონ ზურაბს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით:

– კლინიკური დისციპლინების სწავლებისთვის უმნიშვნელოვანესია კლინიკაში მიღებული გამოცდილება და პრაქტიკული მეცადინეობები. თსსუ-ის პოზიცია ამ მიმართულებით ყოველთვის ცალსახად იყო განსაზღვრული: რაც შეიძლება მაღალი დონის სასწავლო ბაზა შექმნილიყო სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის საუნივერსიტეტო კლინიკების სახით. რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით ამ მხრივ, როგორც ხელმძღვანელი, რექტორი, პიროვნება, რომელმაც თავად, როგორც ყოფილა სტუდენტმა და დღეს მოქმედმა ქირურგმა, პროფესორმა, ზუსტად იცით, რას ნიშნავს კლინიკა მომავალი ექიმებისთვის.

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სამედიცინო განათლების კერაა, რომელსაც საკუთარი კლინიკური ბაზების ქსელი აქვს.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (აღრე ინსტიტუტმა) თავისი კლინიკები დაკარგა. ასე ხდებოდა მთელი მისი არსებობის მანძილზე; ზოგჯერ იბრუნებოდა დაკარგულ კლინიკებს, შემდეგ ისევ კარგავდა... ვიდრე ჩვენი გუნდი მოვიდოდა უნივერსიტეტის მართვის სადავებთან, უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს, პრაქტიკულად, აღარ ჰქონდა საკუთარი ჰოსპიტალური ბაზა.

საუკეთესო შემთხვევაში, კლინიკური სწავლება მიმდინარეობდა კერძო კლინიკებში, თუ მათი მფლობელები ჩვენი პროფესორები ან კურსდამთავრებულები იყვნენ. სხვა გამოსავალი არ არსებობდა. თუმცა, ეს, ბუნებრივია, დაბალ სწავლა კლინიკური სწავლების ხარისხს. წარმოუდგენელია, მარტო კერძო კლინიკაზე ააგო კლინიკური დისციპლინების სწავლება. კერძო კლინიკას სხვა მიზნები და ამოცანები აქვს; აკადემიური საქმიანობა კლინიკაში სხვა რამეა – შეზღუდული იყო მეცადინეობების დრო და სტუდენტთა რაოდენობა; ხშირად ხდებოდა ისე, რომ კლინიკური საგნის ათვისება მხოლოდ თეორიული კომპონენტის სწავლებით ხდებოდა. ეს ყოველდღიურად იყო და კრიტიკას ვერ უძლებდა. ამიტომაც, პირველი რიგის ამოცანად დავისახეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკათა ქსელის შექმნა და გაფართოება. დღეს ჩვენ ბევრი კლინიკა გვაქვს, მაგრამ ესეც არ არის საქმარისი. ზოგიერთი ჩვენი აკადემიური დეპარტამენტი კვლავაც რჩება სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო კლინიკაში. ცხადია, მუშაობა უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით, მეტი და მეტი საშუალება უნდა განხილავთ, რომ ყველა აკადემიური დეპარტამენტი კლინიკურ სწავლებას თსსუ-ის საკუთარ ბაზებზე ახორციელებდეს, რადგან, როცა საკუთარი კლინიკური ბაზა გვაქვს, იქ შევიძლია ყველა პრობლემა შექმნა კლინიკური სწავლებისთვის. კერძო კლინიკაში ტექნოლოგიურად სრულყოფილია ბევრი რამ, მაგრამ ხშირად უჭირთ სასწავლო ოთახების გამოყოფა. კლინიკური სწავლება თეორიული კომპონენტის გავლასაც საჭიროებს, რასაც აუდიტორია და სასწავლო ოთახები სჭირდება. კერძო კლინიკა, უპირატესად, მოგებაზე ორიენტირებული და სასწავლო ოთახებისა და აუდიტორიის ნაცვლად, ურჩევნია გაზარდოს საკონსულტაციო თუ შესახვევი ოთახებისა და პალატების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი პრობლების უზრუნველყოფა სტუდენტისთვის მაღალი დონის განათლების მისაღებად ვერ ხერხდება. ამასთანავე, სტუდენტების დაშვება კლინიკურ ბაზაზე 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს შესაძლებელი. პრობლემის მოგვარების გზა კი ერთადერთია: რაც მეტი საკუთარი კლინიკური ბაზა ექნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, მით უკეთესი.

მინდა აღვნიშნო, რომ, ზოგადად, ჩვენს უნივერსიტეტში, ბოლო წლებში, კლინიკური სწავლების ხარისხი გაიზარდა და ეს აისახა ბევრ ფაქტორზე. უჩვეულო რამ ხდება: არის პანდემია, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისია, დაეგმილი ღონისძიებები ვერ ხორციელდება, ჩვენთან კი საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი პანდემიის დროს კიდევ უფრო გაიზარდა.

ეს, თავისთავად, მეტყველებს, რომ სწავლების დონე, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია, უპირობო მოტივაცია სწავლის მსურველთათვის! დამეთანხმებით, ძალიან სასიხარულო ამბავია.

– წელს უკვე 6 საუნივერსიტეტო კლინიკა გვაქვს. როგორ შეაფასებთ ახალი კლინიკის შემატებას, რას იცხვით შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაზე“?

– გარკვეული პერიოდის წინ მოგვმართა რამდენიმე კლინიკურმა აკადემიურმა დეპარტამენტმა. მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა ვერ აკმაყოფილებდა სწავლების დონის შესაბამის მოთხოვნებს. დაიწყეთ ამ დეპარტამენტების განსათავსებლად კლინიკების ძიების პროცესი. რამდენიმე შეთავაზება განიხილებოდა. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში თსსუ-ს ეყიდა 40%-იანი ნილი, რომელიც „ევექსმა“ გაყიდა. ახლა ჩვენ ვართ 40%-იანი ნილის მფლობელი. კლინიკას სახელი გადაერქვა და ეწოდა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“. იქ განლაგდება 13 აკადემიური დეპარტამენტი, სულ მცირე, 52 სასწავლო ოთახი და აუდიტორიები. დასაშვებია აკადემიური დეპარტამენტის ორ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსება: ნაწილის – შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში“, ნაწილის კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში.

ახლად შემომატებული კლინიკა, ზოგიერთ ისეთ სამედიცინო მომსახურებას აწვდის პაციენტს, რომელიც საქართველოში უნივერსიტეტის დეპარტამენტში ხორციელდება. სტუდენტებს აქვთ საშუალება, მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებით, მიიღონ ცოდნა და გამოცდილება.

ამასთანავე, ჩვენთვის ძალიან ღირებულია ის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მიუმაბს შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში“. ბატონი გიორგი ინგოროყვა ჩვენი ემერიტუსია. ის წლების მანძილზე თსსუ-ის ნეიროქირურგიის კათედრის გამგე იყო, დიდი წვლილი აქვს შეტანილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარებაში. ამიტომაც მიენიჭა ემერიტუსის წოდება. ვფიქრობ, ამ კლინიკაში სასწავლო, სამედიცინო და კლინიკური სწავლება ძალიან მაღალ დონეზე წარიმართება.

კლინიკის სამედიცინო პერსონალი ძალიან კარგად შეხება სიახლეს, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. ჩვენ დავიწყეთ ადგილობრივი კადრების გამოყენება მონვეული პედაგოგების რანგში. თსსუ-ის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ამჟამად კონკურსია გამოცხადებული. ველოდებით მაღალკვალიფიციურ, საზოგადოებისთვის ცნობილ, მოთხოვნად ექიმებს. სწორედ მათთან მიღებული განათლება ჩვენი სტუდენტებისთვის პროორიტეტულია. თუ ქირურგიას ასწავლის ის, ვინც არ ენევა ქირურგიულ საქმიანობას, სასწავლო პროცესი ვერ მიმდინარეობს ნორმალურად. კლინიკური სწავლებისთვის პედაგოგის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და შემდეგ ამ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტის ჩართვა ისეთივე აუცილებელი და მუცხველია, როგორც აუზნო-მედიცინისთვის, ან სცენა – მსახიობისთვის. მთელ მსოფლიოში ყველა ვთანხმდებით, რომ პანდემიის გამო დაწყებული დისტანციური სწავლება ჯანდაცვის მიმართულებებში წარმოუდგენლად არაეფექტურია: დრამატულად გაუარესდა სამედიცინო გა-



## თსსუ-ის განვითარებისთვის ხელშეწყობა ჩემი პიროვნული პატივია

ნათლების ხარისხი. ცხადია, კლინიკის გარეშე, პაციენტთან უშუალო შეხების გარეშე, სწავლა ვერ იქნება სრულყოფილი. მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების ყველა სტუდენტს კლინიკური სწავლების პირველ ეტაპზე მძაფრი ემოცია აქვს – თავზრუ ეხვევა, გული მისდის. ეს გასაგებელია გზაა. კომპიუტერთან ამ გზის გავლა შეუძლებელია.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს და მის მოადგილეს, ქალბატონ ნუნუ მიცკევიჩს. მათი ინიციატივა იყო, რომ გასულ სემესტრში ფიზიკური გამოცხადებით სწავლება მხოლოდ მედიცინის პროგრამებზე დაუშვეს. ჩვენ ვითხოვდით იგივე დაეშვათ სტომატოლოგიის მიმართულებითაც. ეს დიდი მოვლენა იყო, ტრანსპორტი არ მუშაობდა, სტუდენტები ძნელად, მაგრამ მაინც მოდიოდნენ კლინიკებში. ეს საჭირო და შეუცვლელი ნაბიჯი გახლდათ სწავლის დონის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად. მახარებს, რომ თსსუ-ში დისტანციური სწავლება სრულად მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში განხორციელდა.

– არსებული პანდემიის პირობებში კვლავაც დღის წესრიგში დგება ორი მთავარი მიმართულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის: დარჩეს COVID-19-თან ბრძოლის ფლაგმანად და კვლავ მაღალ დონეზე გააგრძელოს კლინიკური სწავლება. რამდენად რთულია ამ ორი გამოწვევის ერთდროული მიღება?

– მოგეხსენებათ, პანდემიის დაწყებისთანავე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა გადაკეთდა კოვიდ-საავადმყოფოდ, სადაც ინფიცირებულთა ყველაზე მძიმე ნაწილი მკურნალობდა მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამსახურებაა, რომ იქ სათანადო პირობებში შექმნილი ამისთვის, არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ ყველაზე დიდი ფასეულობა ჩვენი სამედიცინო და აკადემიური პერსონალი და სტუდენტობაა. ისინი თავდაზნობრივად ჩაერთნენ ვირუსთან ბრძოლის პროცესში. არ გამოვლოვებ არცერთ შესაძლებლობას, რომ განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო მათ! სიამაყით მინდა ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა პოსპიტლებში, კოვიდ-სადასტუმროებში, საკარანტინო ზონებში, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში, 112-ში თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს. ისინი დაუღალავად შრომობდნენ თავიანთი მენტორების, გამოცდილი ექიმების, გვერდით და, პარალელურად, კლინიკურ სწავლებას ახერხებდნენ.

დღეს თსსუ-ის ყველა ფაკულტეტზე სწავლა ფიზიკური დასრულებითაა. ქვეყანაში ძალიან მძიმე სიტუაციაა – ამაზე COVID-19-ით დაავადების შემთხვევათა რაოდენობა მეტყველებს. ჩვენ სტუდენტებს გათავისუფლებული აქვთ, როგორ უნდა ისწავლონ და იმპრობი პანდემიის პირობებში. ერთი მხრივ, ისინი სხვაზე მეტად ფლობენ სათანადო ცოდნას, ბევრსგან განსხვავებით, სამედიცინო ნიღაბს სწორად და მუდმივად იყენებენ და მეორე მხრივ, უნივერსიტეტმა შეძლო მეტ-ნაკლებად უსაფრთხო გარემოს შექმნა. ცხადია, ძნელია საყოველთაოდ რეკომენდებული დისტანციის დაცვა ქირურგიული ოპერაციების თუ სტომატოლოგიური მკურნალობის დროს, მაგრამ, აბა ნახეთ, ყველაზე ნაკლებად სტომატოლოგიები ავადდებიან, რადგან მათ გაზარებული აქვთ იმისი, პრობლემის სირთულე და ზედმინეებით იცავენ უსაფრთხოების ნორმებს.

ყურადღება რომ მოვუწოდებ, მაშინ ხდება ვირუსი საშიში. ჩვენ ვსწავლობთ ამ ვირუსთან ერთად ცხოვრებას. ამდენად, მივიღეთ ორი მთავარი გამოწვევა: დავრჩით COVID-19-თან ბრძოლის ფლაგმანად და კვლავ მაღალ დონეზე ვაგრძელებთ კლინიკურ სწავლებას. იმედი მაქვს, რომ ორივე გამოწვევას თანაბრად, მაღალ დონეზე გავცემთ პასუხს, საამისოდ ყოველდღიურად ვშრომობთ, ვსწავლობთ და ვაგრძელებთ საუკეთესო გზების ძიებას!

ესაუბრა ლეა მუხანანიანი

შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ (პირვანდელი სახელწოდება – მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა) 2007 წლიდან ქვეყნის სამსახურშია და პაციენტებს საუკეთესო ხარისხის თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს.

საერთაშორისო დონის სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს კლინიკის მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურა.

უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ჩვენი კლინიკა თსსუ-ის აფილირებული კლინიკა გახლდათ და აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო სივრცეში საგანმანათლებლო თუ კლინიკური საქმიანობის თვალსაზრისით. კერძოდ, თსსუ-ის ნეიროქირურგიის დეპარტამენტი ყოველთვის გზამკვლევი გახლდათ ქვეყანაში მედიცინის ამ მიმართულების განვითარებისა. ამ თვალსაზრისით, დღეს ჩვენს კლინიკაში ბევრი სიახლე – დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე სტანდარტები პაციენტს საშუალებას აძლევს, ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღოს საერთაშორისო დონის სამედიცინო მომსახურება.

გასული წელი კი უმნიშვნელოვანესი გამოდგა კლინიკისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში – 2020 წლიდან კლინიკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკათა რიცხვშია – შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ თსსუ-ის ერთ-ერთი მძლავრი სასწავლო-პრაქტიკული ბაზა გახდა, რამაც გააჩინა მეტი შესაძლებლობა საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო სივრცეში მჭიდრო ინტეგრირებისა.

დიდი ენერჯია და ძალისხმევა ჩაიდო ჩვენი საერთო მიზნის მისაღწევად, აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლების და დეპარტამენტების მიერ საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე დონის შესატყვისად განხორციელება რომ ითვალისწინებს.

დეპარტამენტების პროფესორ-მასწავლებლები, შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, ჩართულნი არიან თსსუ-ის სტუდენტთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საქმეში.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი ალმა-მატურია და მისი შედეგში განვითარებისთვის ხელშეწყობა ჩემთვის ერთგვარი ვალდებულებაა; ამიტომაც ორიენტირებული ვარ, რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მიეცეს საშუალება, გახდეს პირველი ნაბიჯების გადადგმისა, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ სამომავლო პროფესიულ გამოწვევებთან გამკლავებისა. ასე რომ, ურთიერთთანამშრომლობის მძლავრი პერსპექტივა მომავალ ექიმებს განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემს, კლინიკის პაციენტებისთვის კი გარანტირებული იქნება უმაღლესი ხარისხის - საერთაშორისო დონის სამედიცინო მომსახურების მიღება.

**გიორგი ინგოროყვა,**  
თსსუ-ის ვაიკისტი, პროფესორი,  
შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის“ განვითარების ხელმძღვანელი



# ღავით კობაჯაიძე: თბილისის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი – ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წოდება!



„იმედის კლინიკის“ გენერალური დირექტორის, დავით კობაჯაიძის, სამუშაო კაბინეტში კედელს ბევრი სერტიფიკატი და სიგელი ამშვენებს. თავად ამბობს, რომ, მათ შორის, ერთი განსაკუთრებულია და მისთვის, როგორც პროფესიონალისთვის, კლინიკის ხელმძღვანელისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (აღრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი) კურსდამთავრებულისთვის, ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს. ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცისფერი გერბით დამშვენებული საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დამადასტურებელი სიგელი.

– ამაზე დიდი წოდება მე არც მაქვს და არც არასდროს მექნება, რადგან ჩემი ცხოვრების გზაზე ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, შემდეგ კი – უნივერსიტეტში, გატარებული ყოველი დღე უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა იყო, გავმხდარიყავი ის, ვინც ვარ და შემძლებოდა ხალხის მსახურებაში საკუთარი დანიშნულების პოვნა და გამართლება. უკვე 35 წელია, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე. ძალიან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს მასთან და დღემდე არ მტოვებს მადლიერების განცდა ჩემი ალმა-მატერის მისამართით.

– საინტერესოა, როგორ წარადგინეთ თქვენს ალმა-მატერს უცხოეთს, რომელიც დაინტერესებული იქნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გაცნობით.

– პირველი, რაც თავში მომდის და სულ თან მდევს, არის ის, რომ მე ვარ პირველი ტრადიციული და მალალი სტანდარტების სამედიცინო განათლების მომწოდებელი დანესებულების კურსდამთავრებული. როგორც გინდათ, ისე განსაჯეთ: ჩემთან რომ კოლეგა შემოდის, ვგრძნობ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია თუ არა. ჩემი ალმა-მატერის კეთილი კვალი, ცხადია, ყველა კურსდამთავრებულს გვეტყობა და ეს შეუცვლელი სიმდიდრეა ექიმისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საოცარი ტრადიციების უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც მუდმივად ვითარდება. აქ პროფესორ-მასწავლებლები, ძველი გამოცდილების პარალელურად, მსოფლიო მედიცინის ყველა სიახლეს იაზრებენ და აწვდიან სტუდენტებს. ვამაყობ იმით, რომ ვიყავი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, შემდეგ გახვდი ლექტორი. აქ გავიცანი



ნი და შეხება მქონდა სამედიცინო სფეროს ლეგენდებთან, ადამიანებთან, რომელთა ცხოვრების წესი და პროფესიონალიზმი დღემდე გასაოცარ მაგალითად რჩება მედიკოსებისთვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა იყო მყარი საფუძველი ყველა ჩვენგანისთვის, რომელზეც მომავალი ცხოვრება დავაშენეთ.

– სტუდენტობიდანვე თუ გრძნობდით, რომ ასეთი სერიოზული, პროგრესული და, ამავდროულად, ტრადიციული ინსტიტუტის წიაღში მოხვდით, თქვენი ლექტორები კი მედიცინის ნამდვილი კორიფეები იყვნენ?

– სტუდენტობისას ხშირად მინევდა სამეცნიერო საბჭოზე დასწრება. ყველა, ვისაც იქ ვხვდავდი, ავტორიტეტი იყო როგორც ადამიანობით, ისე – პროფესიონალიზმით. მათი აღზრდილები დღეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან.

სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას მქონდა ბედნიერება, მცნობოდა რექტორები: კოტე ვირსალაძე, არჩილ ასათიანი, რამაზ ხეცურიანი, ლაური მანაგაძე... უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა მათზე.

მოგვიანებით, ამავე უნივერსიტეტში, კათედრაზე დავინყე მუშაობა და ჩემი ურყევი ავტორიტეტი ბატონი მიხეილ გიგინეიშვილი და მისი ვაჟი გახლდნენ. საოცარი ლექციები მიტარებდნენ. მარტო საგანს კი არ გვასწავლიდნენ, გვასწავლიდნენ ექიმობას, დეონტოლოგიას, სუბორდინაციას. დღევანდელ სტუდენტებს ზოგჯერ ზღვარგადასული სიტამამე აქვთ, ეს, თავისთავად, შეიძლება არ იყოს დიდი ნაკლი, მაგრამ, როცა აქედან გამომდინარე, იკარგება სუბორდინაცია, რეალობის აღქმაც ირღვევა და შეცდომას შეცდომა ემატება. შეცდომები კი მედიცინაში ძალიან მძიმე თემაა, დამეთანხმებით. ეს მომეტებული სიტამამეც ხშირად ხელს უშლით კლინიკაში მუშაობისას და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

– ცნობილია ფაქტია: მედიცინის ვინც სწავლობს, უარი უნდა თქვას ყველაფერზე, თავი პროფესიას მიუძღვნას. თქვენ როდის გააცნობიერეთ, რომ ამ მსხვერპლზე თანახმა იყავით?

– მესამე კურსზე ვიყავი, როცა მორიგეობები დავინყე. როცა ვნახე რა პროფესიაა ეს, შიში არა, მაგრამ შიშთან ახლოს მდგომამ გრძნობამ ამიტანა. მაშინ გავიაზრე, რომ თუ გავაკეთებდი, უნდა გამეკეთებინა ეს საქმე და სხვა ყველაფერი გვერდზე გადამედო. ჩემი მეგობრები, რომლებიც დღეს წარმატებული ექიმები, ან კლინიკის ხელმძღვანელები არიან, როგორც აღმოჩნდა, სწორედ იმავეს განიცდიდნენ.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჩვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში საოცრად გვამზადებდნენ ამ თავდადებისა და პასუხისმგებლობისთვის. 6 წელი ვსწავლობდით, მერე 1 წელი სუბორდინაციას გავივლიდით და რაიონში მივდიოდით სამუშაოდ. ეს პასუხისმგებლობა, საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნის განცდა, გვაიძულებდა, რომ ყველა რესურსის მობილიზებით გვეკეთებინა ექიმის საქმე. მე განაწილებით თიანეთში მოვხვდი. ჩემთან ერთად იყვნენ არსენ გვენეტაძე და გივი ჯავახიშვილი მეუღლით. ეს იყო ყველაზე საინტერესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში – ფეხს ვიდგამდი, დამოუკიდებელ გადამწყვეტილებებს ვიღებდი.

– გახსოვთ თქვენი პირველი დამოუკიდებელი პაციენტი?

– როგორ არ მახსოვს!.. ეს მაგალითი ჩემს ნიგნძოშიც მოვიყვანე. მინდა გითხროთ, რომ ნორმალურად გამოვძვერი

საკმაოდ რთული სიტუაციიდან. ის ცოდნა დამემხმარა, რაც ალმა-მატერში მივიღე.

ის სტუდენტები, რომლებიც ახლა სწავლობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ძალიან ბედნიერები არიან. მინდა მივმართო მათ: თქვენ, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, მომავალში პაციენტიც კი უფრო მეტად გენდობათ! ეს უნდა დააფასოთ.

ექიმის განათლება სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. თუ გინდა, პროგრესს არ ჩამორჩე, ყოველდღიურად შენს თავზე უნდა იმუშაო, ბევრი რამ დათმო... და მერე, როცა პირველ შემთხვევას დამოუკიდებლად მართავთ, მიხვდებით, რამხელა ბედნიერებაა დადებითი შედეგის მიღება. ეს არის ყველაფერი, რისთვისაც ღირდა სწავლა, ღამეების თენება, მორიგეობები, ქანცის განწყვეტამდე შრომა...

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ვითარდება. რას იტყვით როგორც გულშემოტივარი, რომელიც დღემდე რჩებით მის გვერდით, დანესებული გაქვთ სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის, ემსახურებით სტუდენტების სტაჟირებას... სწორია თუ არა მისი განვითარების მიმართულება?

– საოცრად გაუმართლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რომ ბატონი ზურაბ ვადაჭკორია არის რექტორი, მე ვაკვირდები და ვხედავ, რა პროგრესულად მართავს ის და მისი გუნდი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების დონე თვალნათელია და საამაყო. დღევანდელი ხედვა სულ სხვაა.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს წევრი ვიყავი და უნდა გენახათ, როგორი სიამაყით ვისხედით ჩვენ, მინვეული ექიმები, ყველანი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმაღლესი შე-



რატურის შესახებ, რომელიც ლეგალურად არ შემოდიოდა და გვეუბნებოდნენ ხოლმე, იქნებ მოიძიოთ. ეს იყო ე.წ. სამედიცინო დისიდენტური ლიტერატურა.

ასეთ პირობებშიც კი მუდმივად ვცდილობდი, ყველაფერი მესწავლა. მახსენდება სესიები, კურსიები, სადაც არ მახსოვს, მოუზადებელი მივსულიყავი; არ ყოფილა შემთხვევა, რამე საკითხზე მეთქვას, ვერ ვისწავლე-მეთქი. თავისუფალ დროს კლინიკებში ვმორიგებოდი.

ნოსტალგია მაქვს, როცა წარსულს ვიხსენებ. ახლაც კი, ჩემს ყველაზე საყვარელ სიზმარში, თარხნიშვილის ძეგლთან ვდგავარ მეგობრებთან ერთად და ფოტოს ვიღებ.

– თქვენ სტუდენტობისას ხშირად ბეჭდვით სტატიებს „მედიცინის მუშაკში“...

– დიახ და დღემდე მიყვარს ამ სტატიების გადახედვა... ყველა შენახული მაქვს. რედაქტორი ქალბატონი დალი გაბეშია იყო. ძალიან გვიყვარდა ყველას. ის ასრულებდა კოლოსალურ სამუშაოს. მისი რუდუნებით შენარჩუნდა ეს გაზეთი. ჩვენ, სტუდენტებიც ჩაგვაბა სტატიების წერაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ყამირის შემდეგ დაწერილი სტატიები.

– ამათ თანამედროვე სტუდენტი ვერ გაიგებს, რა იყო ყამირი?

– ყამირი მესამე შრომითი სემესტრი იყო. ამ სემესტრს სხვადასხვა ქვეყანაში გვატარებინებდნენ. მე რაზმი პერმში მყავდა წაყვანილი. მაგალითად, მომავალი ჯანდაცვის მინისტრი, ლადო ჭიბაძე, იქვე ჩემს გვერდზე იყო თავის რაზმთან ერთად. სასაცილო ისაა, რომ ჩვენ სამედიცინო პრაქტიკას კი არ გავდიოდით: ვაშენებდით საკანალიზაციო ქსებს, გოგონები ჩაის კრეფდნენ. მაგრამ იქ უამრავი სამუშაო იყო ურთიერთობისთვის, ამიტომ ვიცნობთ ექიმები ერთმანეთს ასე ახლოს.

– რაც შეეხება თქვენს კლინიკას – „იმედის კლინიკას“, რას გვეტყვით მასზე?

– ვამაყობ, რომ „იმედის კლინიკა“ თსსუ-ის ავლირებული კლინიკაა. აქ თსსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს თამამად შემოსვლება. იგი, 2005 წელს, რკინიგზის საავადმყოფოში ჩამოყალიბდა. 2011 წელს დავინყეთ მშენებლობა დიდი დიდი ტერიტორიაზე... დღეს ერთ-ერთი წარმატებული კლინიკაა საქართველოში, რომელიც აერთიანებს შემდეგ მართულელებს: ორსულთა კონსულტაციას; სამშობიარო სახლს; პედიატრიულ საავადმყოფოს; გინეკოლოგიურ დეპარტამენტს.

მისარია, რომ ჩემი კლინიკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების სამსახურში დგას. როგორც ექიმი და კლინიკის ხელმძღვანელი, ვთვლი, რომ სტუდენტების სწავლება დიდი და საპატიო საქმეა. ჩემი მიდგომა ასეთია: თუ სტუდენტს ასწავლი, „ხეზე ასვლაც უნდა ასწავლო“. ამ საქმეს უშურველად ვემსახურებით.

ადამიანები მიდიან და მოდიან... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი რჩება. მინდა ჩემი ალმა-მატერი სამედიცინო განათლების ფლაგმანი იყოს არა მარტო ევროპაში, მთელ მსოფლიოშიც. როგორც ქართველი მიინებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო განათლების მისაღებად, ისე მოდიოდეს ამერიკელი აქდაუჯერებლად გეჩვენებათ? მე – არა! ბევრი რამ, რაც დაუჯერებელი მეგონა, ჩემ თვალწინ იქცა რეალობად! მჯერა, ესეც შეძლებული იქნება!

სასუბრა ლელა მუჰამადიანი



# თბილისის სახელმწიფო საბავშვო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ხათუნა ლომაური ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ნაწილობრივ მდიანობის ექსპერტი გახდა



ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ხათუნა ლომაური ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ნაწილობრივ მდიანობის ექსპერტი გახდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. საქართველოს წინსვლა ამ მიმართულებით, აკადემიური პერსონალის მზობა, მაღალ დონეზე გაართვათ თავი გამოწვევებს, აუცილებლად აისახება ჩვენს ზეგონებულ დღეზე. „ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნები“ (Sustainable Development Goals), „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგია დედის, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის შესახებ 2016-2030 წელი“ (WHO's Global Strategy for Women's, children's and Adolescent's Health 2016-2030) და „ყოველი ახალშობილის აქტივობის გეგმა“ (Every Newborn Action Plan) მხოლოდ შესაბამისი ექსპერტების და პროფესიონალების ჩართულობით განხორციელდება და არა მარტო ჯანდაცვის სისტემის, არამედ სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივასაც გააჩენს.

ჩვენ ვეწვიეთ ქალბატონ ხათუნას და ვთხოვეთ ესაუბრა იმ კონკრეტულ სამუშაო პროცესზე, რომელიც ექსპერტად აღიარებით დაგვირგვინდა.

– მსოფლიომ აღიარა, რომ კრიტიკული მით – რამდენად ზრუნავს სახელმწიფო ახალშობილსა და დედაზე, შეიძლება განისაზღვროს რამდენად განვითარებულია ესაუბრის ქვეყანა. ამ ზრუნვის სახელმწიფოებრივ რანგში აყვანის გარეშე, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შედგება, ვერც ჩვენი მიზანი – ევროპულ სივრცეში დამკვიდრება, გახდება მიღწევა. ამ გზაზე უმნიშვნელოვანესი გახლავთ პერინატალური აუდიტი, რაც გულისხმობს ყველა მკვდრადშობილის და ახალშობილის გარდაცვალების შემთხვევების შესწავლას; ნაყოფისა და ახალშობილის სიკვდილიანობის ზუსტ აღწერას და ციფრების ღრმა ანალიზს; იმ მიზეზების გამოვლენას, რომელთა მართვითაც მომავალში შესაძლებელი გახდება ლეტალობის აცილება. დადგინდება, რომ ნაყოფისა და ახალშობილთა ლეტალობის 50% შემთხვევაში ამისი თავიდან აცილება შესაძლებელია. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით მსოფლიომ დაისახა ათასწლეულის მიზანი MDG, ახლახან კი დაიდო უფრო მოკლევადიანი გეგმაც მდგრადი განვითარების მიზნების სახით (SDG): 2030 წლამდე შეამციროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობა. რაც შეეხება პერინატალურ აუდიტს, ჯერ კიდევ 2015-16 წლებში, საქართვე-

ლოში შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, დაიწყო პერინატალური დანერგვების მიზნების მინიჭება. ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრის მოადგილის, ქალბატონი ნინო ბერძულის ხელმძღვანელობით შეიკრიბა კომისია. აუდიტის მაღალ დონეზე ჩატარების ერთადერთ გზად აღიარეს: ექიმი არ დადგანამაულო, მოექცეო როგორც კოლეგას. ამ გზით მიღებული ინფორმაცია გაცილებით ზუსტი და ღირებულა და სწორი სამოქმედო გეგმის დასახვის აუცილებელი პირობა.

2018 წელს, განაცხადი შევიტანე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში (WHO). სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, ჩემი აპლიკაცია დაკმაყოფილდა, რითაც საშუალება მომეცა მომავალში განმეხორციელებინა საქსპერტო სამუშაოები ამ ორგანიზაციის ეგიდით. ამავე წელს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინიციატივით, ქ. ლივერპულში გაიმართა პერინატალური დარგის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც ვმონაწილეობდი.

– ძალიან მნიშვნელოვანი და სამომავლოდ აუცილებელი საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, სათანადოდ აღიარებულია; დღეს თქვენი მონაწილეობით შემდგარმა დოკუმენტმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს ფარგლებში გაიარა შემდგომი ექსპერტიზა, რედაქტირება და დამტკიცდა. 2021 წლის იანვარში მოხსენება ოფიციალურად განთავსდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამ კონკრეტული აუდიტის შესახებ.

– 2019 წელს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული ოფისი, გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef), ჩრდილოეთ მაკედონიის ჯანდაცვის სამინისტროს და უშუალოდ, მინისტრის – ვენკო ფლიპჩეს, ასევე, ჩრდილოეთ მაკედონიის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, შეიქმნა ჩრდილოეთ მაკედონიის პერინატალური სიკვდილიანობის აუდიტის კომიტეტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით პერინატალური სიკვდილიანობის შესწავლა. წინასწარ მომზადდა მონაცემთა ბაზა 50-ზე მეტი ცვლადით. განვიხილეთ ჩრდილოეთ მაკედონიაში 2019 წელს დაფიქსირებული პერინატალური სიკვდილიანობის 209 შემთხვევა. სამედიცინო დოკუმენტაციის დეტალური შესწავლით გავანალიზებ ახალშობილთა სიკვდილიანობისა და მკვდრადშობილობის 34 შემთხვევას. შემთხვევების გაცნობა ხდებოდა ადგილზე. კვლევაში ჩემთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტი ნატალი რუსი (კაროლინსკას ინსტიტუტი, შვედეთი) და პერინატალური აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე, გრიგორ ტოფოსკი (ჩრდილოეთ მაკედონია). პროცესის უშუალო ლიდერი და კოორდინატორი იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონული ოფისის ჯანმრთელობის პროგრამების დირექტორი, ნინო ბერძული. მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა კაროლინსკას ინსტიტუტის ბაზაზე, რომლის საფუძველზეც, 2020 წლის შემოდგომაზე დაინერა საბოლოო რეპორტი შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ წარმატებას თავისი საფუძველი აქვს. ამ კუთხით ჩემ განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოში თავისი ჯანდაცვის პოლიტიკით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, რექტორმა, ბატონმა

ზურაბ ვადაჭკორიამ, რომელიც მუდმივად ხელს მინყობდა, რომ განმეხორციელებინა საქმიანი ვიზიტები საჭირო ქვეყანაში.

– დღეს პერინატალური აუდიტი უკვე სავალდებულოა ქვეყნისთვის. როგორც ვიცო, მიმდინარეობს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის შემუშავება და აუდიტი ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი, რაც ძალიან კარგია. რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოში დღეს არსებულ სიტუაციაზე, როგორია დინამიკა ამ მიმართულებით?

– ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაშორებს არაერთი წარმატებული სახელმწიფოს მონაცემებს რომ მივალწიოთ, თუმცა ეს არ გახლავთ მხოლოდ აკადემიური დონის ლაფსუსი. მიზეზები კომპლექსურია და მოიცავს იმ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ რესურსებსაც, რაც აუცილებელია მაღალი დონის შედეგის მისაღწევად, სისტემურ ხარვეზებსაც. საქართველოში დღეს ვსაუბრობთ, რომ მივალწიოთ და ახალშობილთა სიკვდილიანობა დაეწიოს 5 ერთეულზე დაბლა ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე. თუ ქვეყანა დაინწყის სწორი მიმართულებით განვითარებას, ამას 2030 წლისთვის აუცილებლად შეასრულებს. აუდიტი აჩვენებს არა მარტო პერინატალური სამედიცინო გადაცდომით პირობადებულ ფაქტორებს, არამედ სისტემურ პრობლემებსაც. აუდიტი გეზს აძლევს ქვეყანას, თუ რა კუთხით უნდა მოგვარდეს პრობლემა...

– თქვენ ახსენეთ აკადემიური დონე, მედიცინაში ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამას ემსახურება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - თქვენი უნივერსიტეტი. როგორ შეაფასებთ თსსუ-ში აკადემიური მიმართულებით მომხდარ ცვლილებებს?

– როგორც ამბობენ, დედამინა დაპატარავდა. ადვილია კავშირი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ურთიერთობები, ძალიან კარგი საერთაშორისო პროგრამები. პირადად მე, უაღრესად მაძლიერებ ვარ ERASMUS+-ის პროგრამის, რომლითაც გახლდით ტულუზაში, იქ გავეცანი კოლეგების მიღწევებს. საერთაშორისო მიღწევების გაცნობა, მათი სტუდენტებამდე მიტანა – ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. შედეგად თვალნათელი გვაქვს. დღევანდელ სტუდენტს საკუთარ თავს ვადარებ ხოლმე და მიხარია, რომ მათი თვალთახედვის არეალი ფართოა, მათ იციან, რა არის ღირებულ ინფორმაცია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოტივირებული და წარმატებული სტუდენტები ძალიან მაღალ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ამას სხვებიც აღიარებენ.

როგორც მასწავლებელი, აუცილებელია, მუდმივად ვითარდებოდე. მედიცინაში, რაც გუშინ ჭეშმარიტი გეგონა, დღეს უკვე გადაფასებული შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ მუდმივად უნდა ისწავლო. სტუდენტს ყოველთვის ვუბნებ, რომ მთავარია, ის იყოს აკადემიური, მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებით მედიცინაზე დაყრდნობით. სტუდენტებთან ერთად, მეც ვვითარდები. ძალიან ბევრი კარგი სტუდენტი გვყავს. თუ ასეთი ხალხი გონების, მიზანდასახულ, გონიერ, ნიჭიერ ახალგაზრდებს შევინარჩუნებთ სამედიცინო სფეროში, ძალიან კარგი იქნება.

– მინდა გკითხოთ, როგორც ნაწილობრივ მდიანობის ექსპერტი, როგორ ხდებოდა საქართველოში რთული პრობლემების წინაშე მდგარ დედას და ახალ-

შობილს რამდენად შეუძლია სრულყოფილი მომსახურების მიღება ქვეყნიდან გაუსვლელად?

– საბედნიეროდ, საქართველოს მასშტაბით ბევრი რამ არის მონესრიგებული. მთავარია, კონკრეტული პრობლემის მქონე ორსული მოხვედეს შესაბამის სივრცეში, ასევე – ახალშობილს. კანონმდებლობაში განვიხილავთ, რომ ახალშობილმა სრულად უნდა მიიღოს ის პაკეტი, რომელიც დღეს ნამდვილად ხელმისაწვდომია ოჯახისთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე. ფაქტია, რომ 2005 წლის შემდგომ 50%-ით დაიკლო ახალშობილთა სიკვდილიანობა. ამაში წვლილი აქვს პერინატალურ აუდიტსაც. მინდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკების მაგალითზე გითხრა: დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანია სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, შეიძლება ითქვას, პრობლემური ახალშობილების და, ზოგადად, ბავშვთა მკურნალობის, ავანგარდშია. პრევენციული, რომ ახალშობილთა ქირურგიული პათოლოგიები, რომლებიც წლების წინ არაპერსპექტიულად ითვლებოდა, დღეს წარმატებით არის მართული. აქ ტარდება ოპერაციები, რომლებზეც ადრე ვერც კი ვიოცნებებდით. კლინიკაში ბევრი პაციენტი გარე-რეგიონალით შემოდის. რაც შეეხება პრობლემის მქონე მაღალი რისკის ორსულებს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში მათ შეუძლიათ შესაბამისი კვალიფიკაციის სრული მომსახურება მიიღონ. საჭიროების შემთხვევაში, დედასა და ახალშობილს ერთდროულად უტარდება სათანადო მაღალი დონის სამედიცინო დახმარება. მსოფლიო გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ეს სისტემა ბევრად აიოლებს ძალიან რთული შემთხვევების მართვას და ბედნიერ დასასრულს.

– დაბოლოს, რა არის თქვენი, როგორც ექიმის, ოცნება?

– ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, იმდენად ბედნიერი ვარ, როცა მკურნალობა სრულდება სასურველი შედეგით, ეს ისეთი დიდი სიხარულია ჩემთვის, რომ ჩემი ყოველდღიური სურვილი და მიზანიც სწორედ ამ შედეგის მიღწევაა.

ბევრჯერ მიფიქრია, რა ბედნიერი ვიქნები, როცა მსოფლიოს ყველაზე მაღალი დონის ნეონატოლოგიური მომსახურების განვას საქართველოშიც შევძლებთ. 20 წლის წინ, როცა ექიმობა დავიწყე, წარმოუდგენელი იყო ახალშობილი მართვით სუნთქვაზე გადაგეყვანა და გემსჯელა მის გამოჯანმრთელებაზე. დღეს ეს სრულიად მიღწევადია. ამჟამად საქართველოში ძალიან ბევრი აკადემიური, მაღალი კვალიფიკაციის ნეონატოლოგი მოღვაწეობს და ამაყი ვარ, რომ მათ გვერდით მინევს მუშაობა. ცხადია, ჩემი დიდი ოცნებაა, კიდევ მეტად განვითარდეს პერინატოლოგიის დარგი საქართველოში. 2019 წლის მონაცემებითაც, ნეონატოლოგიის ძირითადი პრობლემა არის ღრმა დღენაკლულობით (დაბადების მასით 1000 გრ-ზე ნაკლები მასის ახალშობილი) პირობადებული ავადობა და სიკვდილიანობა. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. მინდა, მუდმივად ხდებოდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, აკადემიური დონე დღენიდაგ იზრდებოდეს. მიმანია, რომ თუ სწორი გზით მიიღებარ, ყველაფერი მიღწევადია.

სასაზრა ლეა მუხანინი

## საინტერესო კვლევა

### Research on antimicrobial use in Georgian hospitals

Dr. Irma Korinteli, a pediatrician and lecturer at Tbilisi State Medical University, has been involved in the Global-PPS project from the very beginning in 2015. Earlier this year, she successfully defended her PhD on antibiotic use in Georgian hospitals. Read her testimonial below!



Working on a PhD was a very important experience in my life as a doctor and researcher. Georgia was involved in the Global PPS project from the beginning. The first Survey with the Global-PPS protocol was performed in Georgian Hospitals in 2015 under supervision of Professor Karaman Pagava from Tbilisi State Medical University in collaboration with Professor Herman Goossens and Ann Versporten from the University of Antwerp.

I was involved in this project with Prof. Pagava as a researcher. From this point a very interesting and challenging experience has started for me. First, I would like to mention the Global PPS collaboration team. They have been very supportive of me and other project participants. The protocol was being permanently updated, tools were easily understandable and facilitated the research process. The recently updated protocol is very exquisite. It makes data collection more accurate and provides better evidence. The research process does not require big material or human resources. This is comfortable and cost-effective for researchers. The study with Global PPS methodology was conducted in many countries around the world. The results are summarized by geographical regions. This allows us to compare our survey data to different regions.



ანტებერპენის უნივერსიტეტის (ბელგია) საერთაშორისო საიტზე, მიღწეული Global-PPS პროგრამისადმი (გლობალური პროგრამა ანტიბიოტიკების გამოყენებისა და მართვითი რეზისტენტობის შესახებ), გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ყოფილმა დოქტორანტმა და ამჟამად მონვეულმა პედაგოგმა, ირმა კორინთელმა, პროფესორ ყარამან ფალავას ხელმძღვანელობით, ამ მიმართულებით საინტერესო კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგები სხვადასხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდა.



# სახელმწიფო იუბილანი – თსუ-ის დირექტორის ლეონიდა ქადაგაძის



რომ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და ქალბატონი კლარა ამჟამად მისი საპატიო პრეზიდენტია. აკადემიის ეგიდით, ქალბატონი კლარას თაოსნობით, ბევრი სასიკეთო და მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა – ტარდებოდა კონფერენციები, გამოდიოდა შრომათა კრებულები, აკადემიის წევრები გახლდნენ დამსახურებული და დარგის აღიარებული სპეციალისტები... ტრადიცია გრძელდება დღესაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმის დაწყება ყოველთვის გაცილებით ძნელია, ვიდრე გაგრძელება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქალბატონი კლარას გამორჩეული ადამიანური ღირსებების შესახებ. ნებისმიერ თემაზე მასთან საუბარი იყო საინტერესო და მრავლისმომცემი. გახლდათ ყურადღებიანი და შეეძლო ნებისმიერი საკითხი, გნებავთ, პრობლემა, სხვადასხვა კუთხით დაენახა, გაენახა, გაეხარა და მარტივად გადარწმუნებდა. რაც მთავარია, მუდმივად იგრძნობოდა მისი კეთილგანწყობა და დახმარებისთვის მზადყოფნა. შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი კლარა გახლდათ განსაკუთრებით ღირსეული ადამიანი, ვისაც კი შეეხებოდა რაიმე საკითხი, ისევე, როგორც მისი თაობის გამორჩეულად დიდი ქალბატონები, მედიცინის აღიარებული კორიფეები, შეიძლება ითქვას, ერთი რანგის, ერთი სიმაღლის პროფესიონალები, რომლებიც, საბედნიეროდ, სწორედ ამ უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიას.

### პროფესორი შალვა (დავით) ზარნაძე, კვების და საკოორდინაციო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ქალბატონი კლარას სტუდენტი გახლდათ და იგი დამამახსოვრებელია მის მიერ ნაკითხული პირველივე ლექციიდან კომუნალური ჰიგიენაში, რომელიც ახალი და საინტერესო საგანი გახლდათ ჩვენთვის. კიდევ უფრო საინტერესო იყო მისი ლექციები რადიაციული ჰიგიენის აქტუალურ საკითხებზე. მისი კომპეტენცია და მაღალი პროფესიონალიზმი კარგი საშუალება და ერთგვარი სტიმული იყო ჩვენთვის მეტის შესაცნობად და ცოდნის გასაღრმავებლად. ქალბატონი კლარას ღვაწლი გამორჩეული გახლდათ არა მხოლოდ როგორც პედაგოგის, არამედ როგორც სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის სულისჩამდგმელის – მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო კონფერენციებზე ყოველთვის საინტერესო სტუდენტური თემები იყო წარმოდგენილი და სტუდენტების ინტერესი და აქტიურობაც ამ მიმართულებით სწორედ ქალბატონი კლარას დამსახურება გახლდათ, რითაც სტუდენტთა სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობდა ხელს. მან არაერთი ასპირანტი აღზარდა, რომლებმაც შემდგომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დარგის განვითარებაში.

ბევრი რამ არის საამაყო ქალბატონი კლარას ბიოგრაფიაში და მისი ღვაწლი განუზომელია არაერთი მიმართულებით: ის გახლდათ ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოს ავტორი რადიაციულ ჰიგიენაში; მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტად გახლდათ ნლების მანძილზე და ეს პერიოდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო აკადემიის ისტორიაში – გამოიცა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის 4 ტომი, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, ასევე, კონსულტაციების სერია პრაქტიკოსი

ექიმებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო კვლევები და ა.შ. ქალბატონი კლარა ნლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსებს; ნლების მანძილზე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების კომისიის თავმჯდომარე ჰიგიენურ სპეციალობებში. ის გახლდათ ავტორი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის თუ მონოგრაფიის...

ქალბატონი კლარასთან თითქმის 30-წლიანი პროფესიული ურთიერთობა მაკავშირებს და შემიძლია დიდხანს ვისაუბრო მის ღირსებებზე: კოლეგიურობაზე, სამართლიანობაზე თუ ობიექტურობაზე... გავისხენებ იმასაც, რომ პროფესიულ საკითხებზე ხშირად გვექონია საქმიანი მსჯელობა-კამათი და შემიძლია ვთქვა, რომ მისი მადლობელი ვარ, რადგან ბევრი რამ მასწავლა, ისევე, როგორც არაერთ მის სტუდენტს და მოწაფეს.

ქალბატონი კლარას მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა და შეფასდა როგორც უნივერსიტეტის, ისე – ქვეყნის მასშტაბით. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მისი ხელმძღვანელობა, უშუალოდ რექტორი, არასოდეს იფიქრებდა სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლების, მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლების, დამსახურებას როგორც უნივერსიტეტის, ისე მედიცინის განვითარებაში და ყოველთვის პატივს მიაგებს მათ ღვაწლს. მიხარია, რომ შესაძლებლობა გვექონდა ესოდენ ღვაწლმოსილი ქალბატონისთვის მნიშვნელოვანი თარიღი პირადად მიგველოცა და მადლიერება გამოვგვხატა მის მიმართ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქალბატონი კლარას სკოლა რადიაციულ თუ კომუნალურ ჰიგიენაში, დღესაც ცოცხლობს და ვითარდება და დარგი სერიოზულ ნიშანს იკავებს პროფილაქტიკური მედიცინის მიმართულებაში, რაც, მეტწილად, ქალბატონი კლარას მოღვაწეობის შედეგია, დღეს კი დედის გზას ღირსეულად აგრძელებს ქალბატონი ნინო ვეფხვაძე, პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის მიმართულების ხელმძღვანელი. წარმატება მინდა ვუსურვო მას ესოდენ მნიშვნელოვან საქმიანობაში, ხოლო ქალბატონ კლარას – ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

### მარინა გიორგობანი, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

ვფიქრობ, სტუდენტები, საზოგადოდ, და, განსაკუთრებით, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, საკუთარი პედაგოგების ყველაზე ობიექტური შემფასებლები არიან; ტრადიციულად, საქართველოში, მით უფრო, ჩემი თაობის სტუდენტებისთვის, ლექტორები, პროფესორ-მასწავლებლები, იყვნენ განსაკუთრებულად გამორჩეული პიროვნებები – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხომ მაშინ მოღვაწეობდნენ მედიცინის ისეთი კორიფეები, რომელთა ლექციებზე დასწრება ნამდვილად დღესასწაული იყო – სახელოვან პედაგოგთა მთელი პლეადა და მათ შორის გამორჩეული ქალბატონები: კლარა გელაშვილი, თამარ დეკანოზიძე, მარია გრიგალაშვილი, ცინო გაჩე-

### ჩილაძე, თინა მესხი, მაცყალა ზურაბაშვილი, თინა თოდუა, თამარ ქეჭურია, ეთერ ბოცვაძე, მანანა გვედევანიშვილი...

ქალბატონი კლარა გელაშვილი ჩემთვის გახლდათ ქალური სინაზის, სილამაზის, სიკეთის, გონიერების, საუკეთესო პედაგოგის განსახიერება, რომელიც თითოეული სტუდენტის მიმართ იჩენდა ყურადღებას და ზრუნავდა მის პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე. სტუდენტობის შთაბეჭდილებები განსაკუთრებით მძაფრი და დასამახსოვრებელია, ქალბატონი კლარასთანაც პირველივე ურთიერთობამ ჩემზე ნარეული კვალი დატოვა და დიდი სიმპათიით განმანწყობდა შესანიშნავი ქალბატონისადმი. დრო გავიდა და კიდევ უფრო კარგად დავინახე და დავაფასე მისი ღვაწლი და ადამიანური ღირსებები. ნლების წინ პროფესორსა და სტუდენტს შორის დაწყებული ურთიერთობა დღემდე გრძელდება, როგორც ლამაზი, საინტერესო და ურთიერთპატივისცემით გაჯერებული ისტორია. მეამაყება, რომ როგორც სტუდენტობისას, ისე ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, ვგრძნობდი ქალბატონი კლარას მხარდაჭერას – იგი დღემდე ჩემი დამრიგებელი, დამცველი და დიდი გულშემმატიკიარია. ახალგაზრდა კოლეგის დახმარება, დაფასება და მისი წარმატებების აღიარება კი მხოლოდ გამორჩეულ ღირსებასა და დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს.

სიამოვნებით გავისხენებ პერიოდს, როცა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 7 წლის მანძილზე, ვსწავლობდი ბუნებრივ რადიაციულ ფონს და ქალბატონი კლარა გახლდათ ადამიანი, ვინც ხელმძღვანელობდა ამ დიდ საქმეს სწორედ ურთულეს, 90-იან, წლებში. მართლაც ამ სამეცნიერო კვლევების შედეგები დაედო საფუძვლად საქართველოს რადიაციული რუკის შედგენას, რომელიც შევიდა მსოფლიო რადიაციულ ატლასში.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი კლარას მიერ მომზადდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტი - რადიაციული უსაფრთხოების ნორმები (რუნ-2000).

თამამად ვიტყვი, რომ ქალბატონი კლარა გელაშვილი გახლდათ ჩემი მეტწილად ბედნიერად ვთვლი თაგს, რომ პატივი მაქვს მის მოწაფედ ვინოდებოდე - სწორედ ამ მადლისთვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს უსაყვარლეს პედაგოგს და ჯანმრთელობა და დღევანდელი ვუსურვო მის არაჩვეულებრივად ლამაზ და მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად.

ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით მილოცვებს, კეთილ სურვილებს და აღვნიშნავთ, რომ ქალბატონი კლარას მიერ განვლილი გზა ადასტურებს, რომ მან ჭეშმარიტად იღვანა, დაიხარჯა, უშურველად გასცა სიყვარული, ახალი შესაძლებლობებისკენ გაუ-

სხნა გზა ახალგაზრდებს და თაობების აღმზრდელი ქალბატონი ერთგვარ ხიდად იქცა ძველსა და ახალ თაობას შორის; სწორედ ამიტომ იმსახურებს ასეთ სიყვარულს, მადლიერებას და პატივისცემას, რაც, ვფიქრობთ, საუნივერსიტეტო ოჯახის ღვაწლმოსილი ქალბატონისთვის ყველა ჯილდოზე დიდი აღიარებაა...

მომზადდა ნატო ბოლქვაძემ



### საინფორმაციო ტექნოლოგიები

ალბათ, ერთგვარი მრავალფეროვანი სტრუქტურული საკრებულო სამედიცინო უნივერსიტეტი. ვინ არ ეუფლება აქ მედიცინის მეცნიერებათა საფუძვლებს - უცხოეთიდან ჩამოსული თუ ჩვენი მიწის მკვიდრი არაქართული წარმოშობის ახალგაზრდობა, რომელთათვისაც ქართული ენის სრულფასოვნად დაუფლება და მის სიღრმისაღრმად გაგება თსუ-ის ქართული ენის ცენტრის პედაგოგიური კოლექტივის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ლამაზ ტრადიციადაც ქვეყნის აქ ქართული ენის "დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა, და თუმცა, მიმდინარე სასწავლო წელს, პანდემიის პირობებში, ვერ მოხერხდა

მსგავსი შეხვედრის ორგანიზება, ახალგაზრდებმა „სამედიცინო გაზეთის“ მკითხველისთვის მაინც მოახერხეს მარტის კვირტა აღფრთხილება, სიცოცხლით და სიღამაზით სავსე გაზაფხულის მომზადება ეხარებათ.

გაზაფხული სულის დღესასწაულია გაზაფხული ახლის საწყისად მიიჩნევა, როდესაც, ბუნებასთან ერთად, საამური გრძნობებიც იღვიძებს... ულამაზესია ჩემი სოფლის გაზაფხული, ალბათ, როგორც, სხვისა... ჩემს სოფელს ადრე ბოლნის-ხაჩინო ერქვა, ახლა კი სოფელი ბოლნისია. აქ თოვლის დნობას ცისფერთვალა იის სურნელი ახლავს, რასაც კობჩილო, ღიმი და სოკო მოჰყვება

(ბუნების ეს საჩუქარი, უნდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი შემოსავლის წყაროცაა აქაურთათვის)...

ყველანაირი ამინდი იცის გაზაფხულზე. წელს, მარტის დასაწყისში, პირველი თოვლი მოვიდა, რასაც მზიანი ამინდები მოჰყვა. ამ დროს ყველაფერი ჰყვავის. ხაჩინოში გამორჩეულად ლამაზია ალუბალი, ვარდისფერი ყვავილებით და საამოდ დამატკობელი სურნელით. აქ მინის დამუშავება შუა გაზაფხულზე იწყება. ჩემი სოფელი, თავისი „საფირმო მწნილით“, ალბათ, მთელ საქართველოშია ცნობილი. წინაკას ჩვენში, ხუმრობით, „სომხურ შოკოლადსაც“ ეძახიან.

აქაური გაზაფხული განსაკუთრებულად ლამაზი იმ მიზეზით და ტყითაა, სოფელს რომ ირგვლივ აკრავს და სრულ სიმწვანეშია ჩაძირული. ამ დროს განსაკუთრებით მომხიბვლელად წარმოგვჩვენებს გუმბათოვანი ტაძარი გამოიყურება, მაღალი მთებიდან ამაყად გადმოშორალი. სოფელში დიდი სამამული ომის გემრის - აპაენ როსტომიანის ძეგლიც დგას, არდავიწყების ნიშნად. აპრილში აქაურობა იასამნის სურნელით ივსება...

გაზაფხული საყვარელი დროა, ახალი ცხოვრების და იმედების საწყისი. ამიტომაც მიყვარს ის, ჩიტების ჭიკჭიკითა და სიხარულით სავსე, თუმცა, გაზაფხული მხოლოდ მზე,

პირველი ყვავილები და მწვანე ფოთლები როდია, გაზაფხული სულის დღესასწაულია...

გოპარ პურუშუტანი

გ ა ზ ე ს უ ლ ი

წლის ყველაზე მშვენიერი დროა გაზაფხული. მის მოსვლასთან ერთად, თითქოს მეც ახალ-ნელა ძველის განხლებს თუ ახლის დაწყების სურვილი შემატება... ჩვენს ქალაქში გაზაფხული გვიან მოდის - როცა თბილისში ბუნება იღვიძებს, წინწინამდებელი ისევ ზამთარია... მიუხედავად ბუნების ცვალებადობისა, ყველანაირი ამინდი მიყვარს

დასასრული გვ 8-ზა

## ქაბიული ენის ცენტრში



# პროფესორ რამაზ კუტუბიძის ხსოვნას

## ლილი დანაკლისი

ქართველ ქირურგთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი ბავშვთა ქირურგი, საქართველოს ბავშვთა ქირურგიის კავშირის პრეზიდენტი, ევროპის ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის წევრი, „ლირსების ორდენის“ კავალერი, ემერიტუს-პროფესორი რამაზ კუტუბიძე. ბატონი რამაზი გახლდათ საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მედიკოსთა თაობები. 1994 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბავშვთა ქირურგიის კათედრას, იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ბავშვთა ქირურგი, 1997 წლიდან – თსუ-ის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს დირექტორი. მისი თაოსნობით და აშშ-ის ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებით, თსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბაზაზე, გაიხსნა ჯო ენის სახელობის ქართულ-ამერიკული სამედიცინო ცენტრი და გულის ქირურგიის კლინიკა. მისი უშუალო ძალისხმევით, საქართველოში დაინერგა ახალშობილთა ქირურგიისა და ახალშობილთა ქირურგიული ინტენსიური თერაპიის სამსახური, რომელმაც საშუალება მისცა თანდაყოლილი განვითარების ურთულესი ანომალიების, საყლაპავის ატრეზიების, ანორექტალური მალფორმაციების და სხვა პათოლოგიების სამკურნალოდ ურთულესი რეკონსტრუქციული ოპერაციების დახვეწას, ბავშვებში ლაპაროსკოპიული ქირურგიის პირველი ოპერაციების ჩატარებას და მის განვითარებას.

პროფესორ რამაზ კუტუბიძის ავტორობით, 2003-2009 წლებში, გამოიცა ბავშვთა ქირურგიის სახელმძღვანელო, რამდენიმე მონოგრაფია თუ მეტოდური რეკომენდაცია, 2017 წელს კი მონოგრაფია – „ახდომინალური ქირურგია ბავშვებში“.

ბატონი რამაზი დაჯილდოებული იყო „ოქროს ლანცეტით“ და საუკუნის ექიმის ნოდებით.

პროფესორ რამაზ კუტუბიძის გარდაცვალება მნიშვნელოვანი დანაკლისია ქართული სამედიცინო საზოგადოებისთვის, ქართული მედიცინისთვის.

დიდი პატივი იყო ბატონი რამაზის გვერდით მუშაობა, მუდამ თბილი, მამაშვილური დამოკიდებულებით გამორჩეული ურთიერთობა რომ ახასიათებდა. ძალიან უყვარდათ სტუდენტებს, პაციენტებს; სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდა რეზიდენტების და დოქტორანტთა აღზრდაში, მათ პროფესიულ განვითარებაში.

**თბილისის სახელმწიფო საპედიატრიო უნივერსიტეტის მიხი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ღრმა მსახურაპას გამოხატავს პროფესორ რამაზ კუტუბიძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებს, სამედიცინო საზოგადოებას.**



## ალიანაბალი ქირურგი და შესანიშნავი აქიმიანი

ბატონ რამაზთან არა მარტო მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობის პერიოდი მაკავშირებს, არამედ - დიდი მეგობრობაც. 1986 წლიდან დაიწყო ფუნქციონა გ. ჟვანიას სახელობის ბავშვთა აკადემიურმა კლინიკამ, სადაც ერთად ვსაქმიანობდით. თითქოს არაფერია საერთო ბავშვთა ნევროლოგიასა და ქირურგიას შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიყავით მონოლითური, მეგობრული კოლექტივი, სადაც ყველა ერთი დიდი ოჯახის წევრად გრძნობდა თავს.

ახალგაზრდა, ლამაზი, ინტელიგენტი რამაზ კუტუბიძე პირველი დღეებიდანვე გახდა კლინიკის განუყოფელი ნაწილი. პროფესორმა რ. კუტუბიძემ, როგორც მიზანმიმართულმა, არაერთი სიახლის დამწერგავმა პროფესიონალმა, აღზარდა ქირურგთა თაობები, რომლებიც დღემდე მოღვაწეობენ ჩვენს კლინიკაში.

ბატონ რამაზს ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო ბავშვთა ქირურგიაში, გამოცემული 2003, 2009, 2017 წლებში, რომლებიც სტუდენტებისა და გამოცდილი ექიმებისთვის სამაგიერო გამოცემებდა იქცა. მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე, მისი ხელმძღვანელობით, ასობით სტუდენტი ეზიარა დარგის საიდუმლოებას, მათთვის ის, არა მარტო საუკეთესო პედაგოგი, არამედ ბრწყინვალე მისაბაძი მაგალითი გახლდათ.

ფიქრობ, რომ რამაზმა მიაღწია ყველაფერს, რაზეც შეიძლება ოცნებობდეს ექიმი - გახლდათ ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე (შემდგომ - დეპარტამენტის ხელმძღვანელი), თსუ-ის პედიატრიის ფაკულტეტის დეკანი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მთავარი ექიმი, საქართველოს მთავარი ბავშვთა ქირურგი, ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის თავმჯდომარე. 2000 წელს მიენიჭა „ლირსების ორდენი“. 2001 წლიდან არჩეული გახლდათ საქართველოს სამედიცინო აკადემიის წევრად.

ხანგრძლივად შეიძლება საუბარი რამაზის პროფესიულ მიღწევებზე, მაგრამ მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო მისი პიროვნული თვისებები: მიუხედავად ძალიან დიდი ნარმატივებისა, მას არასოდეს არ ჰქონია არანაირი სნობიზმი და ამბიციაც, იყო უაღრესად თბილი ადამიანი, ყოველთვის მზად მყოფი პაციენტების, ახალგაზრდა ექიმების, კოლეგების დასახმარებლად; არაერთხელ მიმომართავს მისთვის და მისგან ყოველთვის კონსტრუქციული რჩევა მიმიღია.

პროფესორმა რ. კუტუბიძემ, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ბავშვთა ქირურგიის ძლიერი გუნდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ მან დაამყარა მჭიდრო პროფესიული კავშირი ნამყვან უცხოელ კოლეგებთან ისრაელიდან, აშშ-დან, გერმანიიდან. მისი ხელმძღვანელობით დაინერგა ურთულესი ქირურგიული პათოლოგიების, მათ შორის, ახალშობილთა თანდაყოლილი პათოლოგიების, ოპერაციული მკურნალობის მეთოდები, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის, რომ გარდა მომავალი ახალგაზრდა კოლეგებისა, პროფესორმა რამაზ კუტუბიძემ და მისმა მეუღლემ, მედიცინის დოქტორმა, ქალბატონმა მარინა დალაქიშვილმა, აღზარდეს ორი საამაყო შვილი - თინათინი და ავთანდილი. თინათინი კუტუბიძე არის თსუ-ის ასოციირებული მედიცინის, პრაქტიკოსი პედიატრი, სერიოზული მეცნიერი და პედაგოგი. ავთანდილი ჩვენი კლინიკის ნამყვანი ქირურგია, აქტიური და მიზანდასახული. იგი ღირსეულად აგრძელებს მამის და ბაბუას საქმეს. მისი თაოსნობით, საქართველოში დაინერგა მთელი რიგი ურთულესი ქირურგიული პათოლოგიების, თანდაყოლილი ანომალიების და სხვადასხვა რეკონსტრუქციის ლაპაროსკოპიული ოპერაციების მეთოდები.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი რამაზის სახით წავიდა კიდევ ერთი ნამდვილი თბილისელი, კარგი ექიმი და მეგობარი, რომელიც მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

**პროფესორი ნანა გელაქია, თსუ-ის ბავშვთა ნეკროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

## ამაღვანი ქირურგი - ქირურგთა თაობების აღზრდელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ერთ-ერთ შემოსასვლელში ბოლო წლების მანძილზე ყოველ დილით ნაცრისფერი მანქანა მხედებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატონი რამაზი კლინიკაში იყო და მისთვის ჩვეული პუნქტუალობით შედგომოდა ყოველდღიურ საქმიანობას და აი, უკვე კარგა ხანია ამ ადგილას გულსატკეპნი და მეტყველი სიცარიელეა.

ჩვენს შორის აღარ არის თსუ ბავშვთა ქირურგიის სახელოვანი კოპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელი - პროფესორი რამაზ კუტუბიძე.

მეხსიერებას არ შორდება დიდი ავთანდილ კუტუბიძე - ექიმთა მრავალი თაობის აღზრდელი და გამორჩეული დასტაქარი. ჩემს ოჯახში დღესაც ინახება სამამულო ომისდროინდელი ფოტოსურათი, სადაც ბატონი ავთანდილი, კოლეგებთან ერთად არის აღბეჭდილი, მათ შორისაა, მამაჩემი - პეტრე უბერიც.

რამაზ კუტუბიძემ, საამაყო მამის შვილმა, ღირსეულად განაგრძო საექიმო ტრადიციები - ექიმი, პროფესორი, კათედრის გამგე, მრავალი წლის მანძილზე პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალური დირექტორი. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყველგან სუფევდა კოლეგიური ატმოსფერო და მაღალი პროფესიონალიზმი.

მასთვის მე, ახალგაზრდა ასპირანტმა, მოსკოვში სამედიცინო ბიბლიოთეკის დარბაზში გულდასმით მომუშავე, წარმოსადგი პიროვნება შევეჩვენე, რომელიც რამაზ კუტუბიძე აღმოჩნდა. მისი დაუღალავი შრომისმოყვარეობა ჩემთვის მისაბაძი მაგალითი გახდა. მომდევნო პერიოდში, როდესაც პატივი მქონდა გავმხდარიყავი ბატონი რამაზის მემკვიდრე - პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი - დამხვდა საოცრად დახვეწილი, მაღალპროფესიული სისტემა, განსაკუთრებული დამოკიდებულება სტუდენტების და კოლეგების მიმართ. იგი, როგორც კლინიკის დირექტორი, ყოველთვის ემზიდა სასურველ, პროფესიულ, ამავე დროს, მეგობრულ გარემოს და ნშირად მისთვის დამახასიათებელი ნიჭიერებით, იუმორითაც, აგვარებდა პრობლემებს. იგი მუდამ იყო გარშემორტყმული მაღლიერი პაციენტებითა და მათი მოშობებით.

ბატონი რამაზი იყო სასიქადულო მეუღლე, მამა, არაჩვეულებრივად მოსიყვარულე ბაბუა, მისი შვილები კი დღეს ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები - თინათინ და ავთანდილ კუტუბიძეები, ამ გვარის ღირსეული გამგრძელებლები არიან.

წავიდა სახელოვანი ოჯახიშვილი, შესანიშნავი ქირურგი, პედაგოგი და მეცნიერი, რომელმაც აღზარდა ახალგაზრდა ქირურგთა მთელი პლუადა და ამით გააგრძელა მისი სამაგალითო მასწავლებლების (პროფესორი ლ. ავალიანი და პროფესორი გ. ჟვანია) რუდუნებით დაწყებული გზა.

ბატონი რამაზი მუდამ დარჩება თაობათა მეხსიერებაში თავისი პროფესიული და ადამიანური ღირსებებით.

**პროფესორი ნუზარ უპარი**

## ლირსული პიროვნება და პროფესიონალი

ძნელია უკვე წარსულ დროში ისაუბრო კაცზე, რომელიც შენი უფროსი მეგობარი იყო. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ კუტუბიძე დიდი პიროვნება, საქართველოში ბავშვთა ქირურგიული სკოლის ამაღორძინებელი იყო.

ბატონი რამაზი გახლდათ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის პროგრესული მედიცინის დანერგვის ავტორი თუ თანაავტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ახალშობილთა ქირურგიის პროგრესი, ახალშობილთა, ბავშვთა და მოზარდთა რენიმიაციის გათანამედროვეობა და, რაც მთავარია, ახალგაზრდა კადრის აღზრდა, მისთვის პროფესიულ ზრდაში ხელშეწყობა, ბავშვებსა და მოზარდებში გასტროგებროსკოპიული სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და პრევენციული ქირურგიული მეთოდოლოგიის სკოლის გამართვა.

უმნიშვნელოვანესია მისი წვლილი საქართველოში ერთ-ერთი პირველი თანამედროვე კარდიოქირურგიული ცენტრის - „ჯო ენის კლინიკის“ ფუნქციონის დაწყებაში, ბავშვთა და მოზარდთა თორაკალურ ქირურგიაში ახალგაზრდა კადრის პროფესიულ ზრდაში; ასევე, დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი ქირურგიული თუ პედიატრიული პროფილის თანამედროვე მართვაში (ნეონატოლოგია, ბავშვთა ენდოკრინოლოგია, კარდიორევმატოლოგია და ა.შ.).

ბატონი რამაზ კუტუბიძე აქტიურად იყო ჩართული „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ მრავალწლოვან საქველმოქმედო საქმიანობაში (200 000-ზე მეტი ბავშვის უფასო გასინჯვა, მათთვის ჰუმანიტარული მედიკამენტოზური მკურნალობა თუ ქირურგიული ოპერაციები, ასევე, გახლდათ რამდენიმე ათეული კონფერენციის ორგანიზატორი და სხდომის თავმჯდომარე).

პროფესორი რამაზ კუტუბიძე 2017 წლის ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის „ოქროს ლანცეტის“ ღირსეული მფლობელია.

ნახვამდის, ბატონო რამაზ, უპირველესად, დიდ მადლობას იმ ლამაზი კაცური ცხოვრებისთვის, რომელიც ამ თაობას აჩვენებდა თქვენი მამულიშვილური, ადამიანური კაცთმოყვარეობით, მუდამ მისაბაძად რომ დარჩება იმ ქალაქურ სიტყვა-პასუხსა და მიხვრა-მოხვრასთან ერთად, ნაღდი თბილისელობა რომ ჰქვია.

ძალიან მიჭირს, მაგრამ წარმოვთქვამ - ღმერთმა გაანათლოს ბატონი რამაზის სული!

**გიორგი ჩახუნავილი, თსუ-ის დიპლომისმფლობელი სსპეციალისტის ბავშვთა პარადოქსალური პათოლოგიის პედიატრიის დოქტორი**



## მეგობრის ხსოვნას

ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავს, თუმცა, რამაზ კუტუბიძის გარდაცვალებით გამოწვეულ სევდას ჩემთვის დრო ვერ განკურნავს, ვერ გაანულებს მის მიმართ იმ სიყვარულს, რასაც თვითონ უხვად გასცემდა.

მისი ყოველი გახსენება იმ ღვაწლის გახსენებას იქნება, სიცოცხლეშივე რომ დაიმსახურა. ნიჭით, განათლების ფართო თვალსაწიერით, მაღალი პროფესიონალიზმით რამაზი ყოველთვის იდგა ეროვნული მედიცინის წარჩინებულ წარმომადგენელთა და ლიდერთა შორის.

იგი იყო საქართველოში ბავშვთა ქირურგიის ერთ-ერთ პირველ ფუძემდებელთა შორის. ცნობილია, რომ ბავშვთა ქირურგები დიდ ემოციურ დატვირთვას განიცდიან, თუმცა, ამას რამაზი ლიად არასოდეს გამოხატავდა. მოწაფეები და თანამშრომლები ოპერაციებზე ყოველთვის იმედიანად იმყოფებოდნენ, რადგან გვერდით რამაზი ეგულდებოდა...

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ მომხიზველი გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი, სტუდენტობიდანვე ყურადღებას რომ იქცევდა თავმდაბლობით და მორიდებულობით, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ექიმების, პროფესორების, ოჯახში იზრდებოდა.

ჩვენი მეგობრობა 1959 წლიდან დაიწყო. 62 წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ხმაბალი სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისთვის. ახალგაზრდობაშიც და შემდგომაც, შშირად გვიწვედა მეგობრებთან ერთად სუფრასთან ყოფნა, სადაც იგი სიღრმისა და გურული იუმორით, ინტელექტით, ადამიანების სიყვარულით და მათთვის თავის შეყვარების უნარით გამოირჩეოდა. სადღეგრძელოს დროს უყვარდა სიტყვა - „ერისშვილები“ წარმოთქმა, რასთან დაკავშირებითაც, კურონიზი მასხენდებდა: სტუდენტობისას რამდენიმე ახალგაზრდა მეგობარი ბიჭვინთაში ვისვენებდით, სადაც მოლხენა არ გვაკლდა, ერთ დღესაც, რამაზმა სუფრა დროზე ადრე დატოვა და მოსასვენებლად წავიდა, ქეიფის ეშში შესულებს კი, ისევ მოგვინდა მასთან მხიარული დროსტარება და გადავწყვიტეთ, სუფრასთან დაგვებრუნებინა. მივედით და ღრმად მძინარს, გამოსაფიზილებლად, ცივი წყალიც გადავასხით, რაზეც გაბრაზებულმა, სულ „მამაძაღლებო“ და მსგავსი სიტყვები გვეძახა. თუმცა, სუფრასთან დამშვიდდა და გვითხრა: - არ გენყინოთ, ბიჭებო, მაცადეთ ცოტა ხანს და მალე ყველანი ისევ „ერისშვილები“ გახდებით...

...მუდამ კოხტად ჩაცმული, პუნქტუალური, სახეზე ღიმილიანი დაგვამახსოვრებდა; სიყვარულით იცხოვრა და გვაცხოვრა, თან დაგვიბარა: - „თუ გაგახსენდეთ, გამისხენეთ ღიმილიანი და თუ მოგენატრეთ, გაისხენეთ, როგორ მიყვარდითო“...

ნათელში გამოყოფოს ღმერთმა, ჩემო რამაზ!

**ანტონ (პოპი) კაკალიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი**



